ოთარ გოგოლიშვილი

სსიპ აჭარის მუზეუმის მმართველი.

პროფესორი

Otar Gogolishvili

Lepl Ajara Muzeum, Head of Khariton Akhvlediani Museum of Ajara.

Professor

გერმანელთა და ქართველ მასწავლებელთა საქმეები

The Cases of German and Georgian Teachers

DOI: https://doi.org/10.52340/gmg2025.01.01

აბსტრაქტი

კავკასიის მეფისნაცვალმა 1916 წლის 18 ივლისს დაავალა ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორს, რათა შეედგინა გერმანელთა სია, რომლებიც ბათუმში ცხოვრობდნენ და სასწრაფოს გაესახლებინა ისინი. მეფისნაცვლის აზრით გერმანელები ეწეოდნენ ძირგამომთხრელ საქმიანობას, ავრცელებდნენ ჭორებს რუსეთის არმიისა და ფლოტის შესახებ, ცრუ აგიტაციით ადგილობრივ მოსახლეობას განაწყობდნენ ანტირუსულად. ის თვლიდა, რომ ზღვისპირეთში მათი ყოფნა შეუძლებელი იყო. ამასთან დაკავშირებით ბათუმის პოლიციამ გუბერნატორს შეუდგინა ოლქში მცხოვრებ გერმანელთა სია, სადაც მოხვდნენ სხვადასხვა პროფესიის ადამიანები. დახასიათებული იყო თითოეული მათგანი.

ბათუმის ოლქის გუბერნატორმა შეთითხნა ასევე ე.წ. „ქართველი მასწავლებლების საქმე“. ხელმძღვანელობამ მოინდომა იერიში მიეტანა ქრისტიან ქართველ პედაგოგებზე. ამაში გუბერნატორს ხელი შეუწყო მეფისნაცვლის საიდუმლო წერილმა, რომელიც გამოიგზავნა 1916 წლის 21 სექტემბერს. მეფისნაცვალი ავალებდა გუბერნატორს, რომ მას შეევიწროებინა ყველა ქრისტიანი ქართველი. არ მიეცა მათთვის ნორმალურად მუშაობის საშუალება. ყოველი ზომა მიეღო იმისათვის, რომ ქართველებს არ ჰქონოდათ ხელსაყრელი პირობები. იმ მასწავლებლების მიმართ, რომლებიც მოითხოვდნენ გამრავლებულიყო ქართველ სკოლათა რიცხვი, ისე წარემართა მუშაობა, რომ თვით ადგილობრივი მაჰმადიანები გამოსულიყვნენ ქართველ მასწავლებელთა მოღვაწეობის წინააღმდეგ. ეს წერილი ქმნიდა მხარეში ქართველთა უპრეცენდენტო დაპირისპირების მცდელობის პირობებს.

საკვანძო სიტყვები: კავკასიის მეფისნაცვალი, გერმანწლთა საქმე, ქართველ მასწავლებელთა საქმე, სპილენძსადნობი ქარხანა, შოვინისტური პოლიტიკა.

Abstract

On July 18, 1916, the Viceroy of the Caucasus instructed the Military Governor of the Batumi District to compile a list of Germans residing in Batumi and to arrange for their immediate deportation. According to the Viceroy, German residents were engaged in subversive activities, spreading rumors about the Russian Army and Navy, and using misleading propaganda to foster anti-Russian sentiments among the local population. He considered their presence in the coastal region unacceptable. In response, the Batumi police prepared a register of Germans living in the district, which included individuals from various professional backgrounds. Each person was described and assessed individually.

The Governor of the Batumi District also initiated what became known as the “Case of Georgian Teachers.” The local administration sought to exert pressure on Christian Georgian educators. The governor’s actions were facilitated by a confidential letter sent by the Viceroy on September 21, 1916. In this communication, the Viceroy instructed the governor to restrict the activities of all Christian Georgians and to deny them the opportunity to work under normal conditions. He was directed to take every possible measure to prevent Georgians from enjoying favorable social and professional circumstances. With regard to those teachers who advocated for an increase in the number of Georgian schools, the authorities were instructed to conduct their policies in such a way that even the local Muslim population would be encouraged to oppose the activities of Georgian educators. This directive created the conditions for an unprecedented attempt to provoke confrontation among Georgians in the region.

Keywords: Viceroy of the Caucasus; the German Case; the Case of Georgian Teachers; copper-smelting plant; chauvinistic policy.

კავკასიის მეფისნაცვალმა 1916 წლის 18 ივლისს დაავალა ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორს, რათა შეედგინა გერმანელთა სია, რომლებიც ბათუმში ცხოვრობდნენ და სასწრაფოს გაესახლებინა ისინი. მეფისნაცვლის აზრით გერმანელები ეწეოდნენ ძირგამომთხრელ საქმიანობას, ავრცელებდნენ ჭორებს რუსეთის არმიისა და ფლოტის შესახებ, ცრუ აგიტაციით ადგილობრივ მოსახლეობას განაწყობდნენ ანტირუსულად. ის თვლიდა, რომ ზღვისპირეთში მათი ყოფნა შეუძლებელი იყო. ამასთან დაკავშირებით ბათუმის პოლიციამ გუბერნატორს შეუდგინა ოლქში მცხოვრებ გერმანელთა სია, სადაც მოხვდნენ სხვადასხვა პროფესიის ადამიანები. დახასიათებული იყო თითოეული მათგანი. განსაკუთრებით უარყოფით ფერებში იქნა წარმოდგენილი ორი მათგანი, ექიმი

ევენგარტი და მასწავლებელი შულცი. პოლიციის დასმენიდან გახდა ცნობილი, რომ: „ისინი ადგილობრივ მოსახლეობაში ზიზღით მოიხსენიებენ რუსებს და უწოდებენ მათ ბოროტსა და ველურ კოლონიზატორებს, რომლებიც ბარბაროსული მეთოდებით მართავდნენ კოლონიებს. მათი თქმით, სულ მალე დადგება დრო ამ ბოროტების აღმოსაფხვრელად. პოლიციას მიაჩნია აუცილებლად მათი გასახლება. დოკუმენტში შესული იყო სულ 37 კაცი. ბევრი მათგანი ცნობილი სპეციალისტი იყო. მათი გასახლება გამოიწვევდა დიდ უხერხულობას. ამის შედეგად თითქოს უნდა შემცირებულიყო ართვინის ოკრუგის სოფელ ქვარცხანის სპილენძსადნობ ქარხანაში მომუშავე გერმანელთა რაოდენობა. მაგრამ სპეციალისტ გერმანელთა გასახლების შესახებ გუბერნატორს აცნობა ფაბრიკა-ქარხნების ზედამხედველმა კავკასიის რეგიონში (მისი შტაბ-ბინა თბილისში იმყოფებოდა), და ხაზი გაუსვა, რომ ართვინის ოკრუგში, ქვარცხანის სპილენძსადნობ ქარხანაში გერმანული წარმოშობის ბევრი კვალიფიციური სპეციალისტია და ისინი, რომ ოკრუგიდან გაასახლონ, ეს გამოიწვევდა ქარხნის პარალიზებას და გაჩერებასაც. გერმანელებმა, როგორც ჩანს, შეძლეს მოკლე დროში ფეხზე დაეყენებინათ ეს ქარხანა, რაზედაც მეტყველებდა წარმატებები ქარხნის პროდუქციის გამოშვებაში. თანაც ისიც უნდა ყოფილიყო მხედველობაში მიღებული, რომ ამ მძიმე დროს სახელმწიფოს ძალიან უჭირდა. შემდეგ არის თხოვნა, რომ დაიტოვონ ქარხანაში გერმანელები სამუშაოდ. მიუხედავად ამისა, გუბერნატორმა მოითხოვა ქარხანაში მომუშავე გერმანელთა რაოდენობის შემცირება, გაასახლეს 6 კაცი, ოლქიდან კი სამშობლოში დაბრუნდა 29 გერმანელი (საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 145, აღწერა 12, საქმე 298, ფურც 15-18).

ომის დროს ბათუმის ოლქის გუბერნატორმა შეთითხნა ასევე ე.წ. „ქართველი მასწავლებლების საქმე“. ხელმძღვანელობამ მოინდომა იერიში მიეტანა ქრისტიან ქართველ პედაგოგებზე. ამაში გუბერნატორს ხელი შეუწყო მეფისნაცვლის საიდუმლო წერილმა, რომელიც გამოიგზავნა 1916 წლის 21 სექტემბერს. მეფისნაცვალი ავალებდა გუბერნატორს, რომ მას შეევიწროებინა ყველა ქრისტიანი ქართველი. არ მიეცა მათთვის ნორმალურად მუშაობის საშუალება. ყოველი ზომა მიეღო იმისათვის, რომ ქართველებს არ ჰქონოდათ ხელსაყრელი პირობები. იმ მასწავლებლების მიმართ, რომლებიც მოითხოვდნენ გამრავლებულიყო ქართველ სკოლათა რიცხვი, ისე წარემართა მუშაობა, რომ თვით ადგილობრივი მაჰმადიანები გამოსულიყვნენ ქართველ მასწავლებელთა მოღვაწეობის წინააღმდეგ. ეს წერილი ქმნიდა მხარეში ქართველთა უპრეცენდენტო დაპირისპირების მცდელობის პირობებს. გუბერნატორი ავალებდა ოკრუგის უფროსებს, რომ ყოველი ღონე ეხმარათ, რათა მათ ხელი შეეშალათ მაჰმადიანების სოფლებში ქართული სკოლების გახსნისათვის, რომ მათ თვითონვე აემხედრებინათ ადგილობრივი მოსახლეობა, მოეწყოთ პროვოკაციები, ისეთი პირობები შეექმნათ ქართველი მასწავლებლებისათვის, რომ მათ თვითონვე დაეტოვებინათ სკოლები. სწორედ ამის გამო წერდა გაზეთი „საქართველო“ 1916 წლის ოქტომბერში იმ აუტანელ პირობებზე, რომელშიც ჩავარდნენ

ქართველი მასწავლებლები ადგილობრივი რუსული შოვინისტური ადმინისტრაციის გამო. წერილის სათაურია: „ქართველი მასწავლებლების შევიწროება აჭარაში“. ეს წერილი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მიზანშეწონილად ვცანით ჩვენ მისი სრული სახით მოტანა. „აჭარაში ყველა სიხარულით ხვდება ქართული სკოლების გახსნას...მაგრამ ამან გააცოფა ადგილობრივი რუსული შოვინისტური ხელისუფლება. მათ გაავრცელეს ცნობა, თითქოს ქართველებს სურთ აჭარის გათავისუფლებაო და ამ მიზნით ეწევიან პოლიტიკურ პროპაგანდას მთავრობის წინააღმდეგ. ჟანდარმერიამ, პოლიციამ, შპიონებმა გამონახეს საბაბი და საქმემ ისეთი მწვავე ხასიათი მიიღო, რომ ამ მხარეში ქართველების არა თუ მოღვაწეობა, არამედ ყოფნასაც დიდი საფრთხე შეექმნა. დაიწყო ქართველი მასწავლებლების დევნა-შევიწროება, ისეთი პირობების შექმნა, რომ მათ თვითონვე უარი თქვან თავის საქმიანობაზე. უფრო მეტიც, თავგასული შოვინისტები მოსყიდვით აიძულებენ ზოგიერთ ადგილობრივ პიროვნებას შეურაცყოფა მიაყენონ მათ, არ მისცენ ნორმალურად თავიანთი საქმიანობის შესრულების საშუალება. ერთი სიტყვით შეიქმნა ქართველებისათვის მეტად მძიმე სიტუაცია. ამ საქმეს ყველა ქართველმა და განსაკუთრებით ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ და მწვავე რეაგირება უნდა მოახდინონ მომხდარზე. ყველა ღონე უნდა იქნეს მიღებული იმისათვის, რომ ქართველი მასწავლებლები არ გახდნენ იმ საზიზღარი შოვინისტური პოლიტიკის მსხვერპლნი, რომელიც უკვე სახეზეა. ეს სასწრაფოდ გადასაწყვეტია“ (საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 145, აღწერა 12, საქმე 298, ფურც 68-72).

რუსული შოვინისტური პოლიტიკის წინააღმდეგ გამოვიდნენ პროგრესულად მოაზროვნე ადგილობრივი ქართველი მაჰმადიანი მოღვაწეები. მაგალითად, ქობულეთელმა ენვერ ქათამაძემ მისი ორი შვილი მისცა ქართულ სკოლაში და მოსახლეობაში ეწეოდა აგიტაციას, რათა მათაც მიეყვანათ თავიანთი შვილები ქართულ სკოლებში. აგიტაციამ გაჭრა და ქართული სკოლები ადგილობრივი გოგო-ბიჭებით გაივსო. ასევე მოიქცნენ ხუსეინ თხილაიშვილი, მუხამედ ბეჟანიძე, ალი კომახიძე, დურსუნ ტაკიძე და მრავალი სხვა. ხოლო ერთ-ერთმა მათგანმა მემედ მესხიძემ გაზეთ „საქართველოში“ 1916 წლის ნოემბერში გამოაქვეყნა წერილი, სადაც მხილებულია შოვინისტებისა და მათი ადგილობრივი დამქაშების აღვირახსნილი საქმიანობა. მხარდაჭერა არის გამოთქმული ქართველი მასწავლებლებისადმი, რომლებსაც ცოდნა-განათლება შეაქვთ ადგილობრივ მოსახლეობაში (საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 145, აღწერა 12, საქმე 300, ფურც87-89).

ცარიზმი ასეთ პროგრესულ მოღვაწეობასაც დევნიდა, უწყობდა მათ პროვოკაციას. აპატიმრებდა და ამწყვდევდა ციხეში. მაგალითად, 1916 წლის 26 ნოემბერს დააპატიმრეს ქობულეთის მკვიდრი ენვერ

კონცელიძე. მიზეზი ის იყო, რომ მან ხალხში გასწია აგიტაცია, რათა თავიანთი შვილები ქართულ სკოლაში წაეყვანათ და ამასთანავე აუგად მოიხსენია რუსული ხელისუფლება, რომელიც არ აძლევდა ქართულ სკოლებს ნორმალურად მუშაობის საშუალებას. დაპატიმრებული ბათუმის ციხეში მოათავსეს. ამის გამო ქობულეთის საზოგადოების დიდმა ნაწილმა პროტესტის წერილი გაუგზავნა ბათუმის ოლქის გენერალ-გუბერნატორს, სადაც ხალხი მოითხოვდა დაპატიმრებულის დაუყოვნებლივ განთავისუფლებას, წინააღმდეგ შემთხვევაში კი დაუმორჩილებლობით იმუქრებოდნენ. გუბერნატორი იძულებული გახდა დათმობაზე წასულიყო და გაეთავისუფლებინა უმიზეზოდ დაპატიმრებული

ამრიგად, ომის ვითარებაში მეფის ხელისუფლებამ მოინდომა ბათუმის ოლქიდან გაესახლებინა გერმანელები და ქართველები და ქართველი მასწავლებლები. ამის გამო, მან შეთითხნა ე.წ. „გერმანელთა და ქართველ მასწავლებელთა საქმეები“, რომლის მიხედვით თითქოს ისინი უარყოფით ზეგავლენას მოახდენდნენ ადგილობრივ მაჰმადიან მოსახლეობაზე და ეწეოდნენ ძირგამომთხრელ საქმიანობას.

ცარიზმს შეუძლებლად მიაჩნდა გერმანელების დატოვება ბათუმის ოლქში, რადგან შესაძლებელი იყო საერთაშორისო მდგომარეობის გართულების შემთხვევაში, გერმანელებს ცუდი სამსახური გაეწიათ მისთვის.

ცარიზმი შიშობდა, რომ ქართველებს „ნაციონალისტური“ სული შეაქვთ ადგილობრივ მაჰმადიანებში და ცდილობენ მათ ამხედრებას ხელისუფლების წინააღმდეგ. მოსახლეობაში ეწევიან ანტირუსულ საქმიანობას, სურთ ხალხი აიძულონ მათი შვილები მისცენ ქართულ სკოლებში“ და ამ მიზნით „ატარებდნენ მოსახლეობაში აგიტაციას“ აჭარის მოსახლეობის გარკვეული ნაწილი კატეგორიულად მოითხოვდა სოფლებში ქართული სკოლების გახსნას. პროგრესულად მოაზროვნე მოსახლეობა ყველას მოუწოდებდა თავიანთი შვილები მიეცათ ქართულ სკოლებში და ეროვნულად აღეზარდათ ისინი. ეწყობოდა შეკრებები, სადაც გაისმოდა მოწოდებები ერთიანობისაკენ, ეროვნული თვითმყოფადობის განმტკიცებისაკენ (საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 145, აღწერა 12, საქმე 300, ფურც87-89).

შეშინებული ხელისუფლება ცდილობდა დაქსაქსულობა შეეტანათ მათ რიგებში და ამ მიზნით აპატიმრებდა იმათ, ვინც ეწეოდა მსგავს პროპაგანდას, მაგრამ იმდენად ძლიერი იყო სიყვარული და პატივისცემა სამშობლოსადმი, იმდენად დიდი იყო სურვილი ეროვნული ერთიანობისა, რომ მოსახლეობა საპროტესტო წერილებს აგზავნიდა, აფრთხილებდა ხელისუფლებას, რომ ტუ ისინი გონს არ მოეგებოდნენ და არ შეწყვეტდნენ ანტიქართულ მოქმედებას, არეულობას მოაწყობდნენ და

სირთულეებს შექმნიდნენ. ხალხმა დაიცვა თავისი მასწავლებლები, რომლებიც მათ შვილებს ეროვნული სულით ზრდიდა.

გამოყენებული წყარო

1. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 145, აღწერა 12, საქმე 298, 300.